



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

„---28-----“ --06----- 2017 წელი

ეგზ. N2

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
ფინანსური აუდიტის ანგარიში N35/36

2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია	3
სამინისტროს ბიუჯეტი	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები.....	6
1. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	6
2. დებიტორული დავალიანება	7
3. კრედიტორული დავალიანება.....	10
4. შპს „სპორტმშენსერვისის“ ფინანსური ინფორმაციის ასახვა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში	11
5. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში	12
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	13
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	13
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები.....	13
შესყიდვები	14
შრომის ანაზღაურება.....	15
გრანტები	15
დანამატები	16
შტატგარეშე მოსამსახურეები.....	17
ავტომატური	17
კომერციული ბანკიდან აღებული სესხი	18
მივლინება.....	20
ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზება.....	20

შემოკლებანი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო-*სამინისტრო*;

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - *N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია*.

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო მმართველობის ორგანოა, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. სამინისტროს საბიუჯეტო კოდია 39 00.

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სამინისტროს აპარატის და მისი მმართველობის სფეროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებებს:

1. სსიპ “ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი”
2. სსიპ “საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი”
3. სსიპ “საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ფონდი”
4. ა(ა)იპ “ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი”
5. სსიპ “ქართული სპორტის მუზეუმი”
6. სსიპ “საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტი”
7. სსიპ “საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი”

სამინისტროს ბიუჯეტი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამინისტროს 2016 წლის ასიგნებების დამტკიცებულმა გეგმამ 90,000,000 ლარი, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ 121,629,275 ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 31,679,280 ლარის გამოყოფით. ინფორმაცია სამინისტროს 2016 წლის დაზუსტებული ასიგნებებისა და საკასო ხარჯის შესახებ მოყვანილია ცხრილში N1.

ცხრილი N1
მლნ ლარი

		დაზუსტებული გეგმა			საკასო ხარჯი			
ორგანიზაციული კოდი	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	მთავრობის ფონდი	სულ	საბიუჯეტო სახსრები	მთავრობის ფონდი	მიზნობრივი გრანტი	სულ
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	89,950	31,679	121,629	89,718	31,676	7,462	128,856
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	3,016	15,879	18,895	2,993	15,879	7,456	26,328
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	75,293	15,800	91,093	75,157	15,797	0.00	90,954
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	6,252	-	6,252	6,252	-	0.00	6,252
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	5,389	-	5,389	5,316	-	5.40	5,322

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფინანსურმა აუდიტმა მოიცვა ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ¹ და ბალანსთან დაკავშირებული ანგარიშები:

¹ ფინანსური ანგარიშგების დანართი №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12

ანგარიში ფინანსური შედეგების შესახებ, ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ, ანგარიში ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების შესახებ და შენიშვნები, რომელიც შეიცავს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტრო პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის.

შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

1. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

სამინისტროს *აპარატის* ბალანსზე არაწარმოებული აქტივების მუხლით აღრიცხულია 29,672 ლარის საერთო ღირებულების 2 ერთეული მიწის ნაკვეთი. N2 ცხრილში ასახულია ის უძრავი ქონება, რომელთა მოსარგებლეს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, წარმოადგენს სამინისტრო და რომლებიც ბუღალტრულად აღრიცხულია ნულოვანი ღირებულებით.

ცხრილი N2

N	დასახელება	საკადასტრო კოდი	დამაგრებულია შენობა-ნაგებობა
1	არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთი , თელავის რა-ნი, ალაზნის გამზირი, დასავლ	53.20.31.169	არა
2	არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ქალაქი ამბროლაური, კოსტავას ქუჩა	86.19.28.088	არა
3	არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ქალაქი რუსთავი, მეთორმეტე მიკრო	02.02.04.231	არა
4	არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ქ. მცხეთა	72.07.04.183	დიახ
5	არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი , ქალაქი ახალქალაქი, ქ. მაღასიანი #2	63.18.36.346	დიახ
6	არასასოფლო სამეურნეო მიწა ქ. გორი , სუხიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტო	66.54.22.703	არა
7	არასასოფლო სამეურნეო მიწა ქ. ბათუმი ინასარიძის ქ.#1 და #3 საცხოვრებელ	05.24.07.113	არა
8	არასასოფლო სამეურნეო მიწა ქ. ქუთაისი შერვაშიძის ქუჩა #53 ნაკვეთი# 1-1	03.01.22.262	არა
9	არასასოფლო სამეურნეო მიწა ქ. ზუგდიდი დ.აღმაშენებლის ქუჩა #222	43.31.76.257	არა
10	მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობა 1 და 2 გორში ჩუბინაშვილის ქუჩა 29573 კვ .მ	66.45.31.232	დიახ
11	მიწის ნაკვეთი გორში ჭალის დასახლება ჩუბინაშვილის ქუჩის მიმდებარე 25	66.45.31.057	არა
12	ქ. ქუთაისი 35-ე საჯარო სკოლი დასავლეთით მდებარე შენობა-ნაგებობა #1 (მ	03.01.22.088	დიახ
13	ქ. ქუთაისი თაბუკაშვილი #შენ #1-79.87 კვ.მ ; ნანგრ.#2 - 63.44 კვ.მ; საქვაბე #3-4	03.05.25.447	დიახ
14	თბილისი, დიდმის სასწ. საცდელი მეურნეობა, არასას.-სამეურ. მიწა 28704 კვ.მ	01.72.14.009.449	არა
15	ქ. თბილისი თბილისი, დიდმის საცდ. მეურნ. არასას.-სამეურ. მიწის ნაკვეთი 7	01.72.14.009.451	არა

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, საკადასტრო კოდებზე N66.45.31.232, N03.01.22.088, N03.05.25.447 რეგისტრირებულ მიწებზე ასევე დამაგრებულია შენობა-ნაგებობები, რომლებიც სამინისტროს სარგებლობაშია. აპარატის მიერ მათი ბუღალტრული აღრიცხვა არ განხორციელებულა.

აღნიშნული შეუსაბამოების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის ეფექტის დადგენის შესაძლებლობის არქონის გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების სისრულესა და შეფასებაზე.

სამინისტროს *აპარატის* საცნობარო მუხლში (ბალანსგარეშე ანგარიშზე) აღრიცხული აქვს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ხელოვნური და ასფალტის საფარის მქონე მოედნები, ასევე პროგრამა „პატრიოტული ბანაკის“ ინფრასტრუქტურა, რომელთა საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 1,552,435 ლარს. 2016 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე გადაცემულია 986,313 ლარის ღირებულების მოედნები.

სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული იყო, რომ აღნიშნული ქონება სამინისტროსთვის წარმოადგენდა გრძელვადიან არაფინანსურ აქტივს და მისი ასახვა საცნობარო მუხლში არამართებული იყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამინისტროსთვის ქონება პასუხსაგებ შენახვაზე არავის გადაუცია. ქონების აქტივებად აღიარება 2016 წელსაც არ მომხდარა. სამინისტროს განმარტებით, სტადიონები არის მუნიციპალური დანიშნულების ან/და არ ფუნქციონირებს, შესაბამისად არ მონაწილეობს სამინისტროს დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის განხორციელებაში. ამასთან, მიმდინარეობს პროცედურები ქონების თვითმმართველობების საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსგარეშე ანგარიშზე რიცხული ქონების (სტადიონები) ღირებულება 566,122 ლარს შეადგენდა.

2. დებიტორული დავალიანება

სამინისტროს *აპარატის* ბალანსზე „დებიტორული დავალიანების“ მუხლით რიცხული აქტივების შესახებ ინფორმაცია მოყვანილია N3 ცხრილში.

ანგარიში	დასახელება	საწყისი ნაშთი 01.01.2016	ცვლილება	საბოლოო ნაშთი 01.01.2017
1430	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	150,595	(116,599)	33,996
1440	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	3,237,442	-	3,237,442
1460	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	14,885	(6,467)	8,418
1480	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	11,742,038	(1,278,090)	10,463,948

2016 წლის განმავლობაში სამინისტროს აპარატის ბალანსში „დებიტორული დავალიანების“ მუხლი შემცირებულია 1,401,157 ლარით და წლის ბოლოსთვის ნაშთმა შეადგინა 13,743,804 ლარი, საიდანაც:

- „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ მუხლის საწყისი და საბოლოო ნაშთი უცვლელად შეადგენს 3,237,442 ლარს. 2,312,143 ლარის ძირითადი აქტივების დანაკლისი წარმოშობილია 2005-2010 წლებში, მათ შორის: 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დამწვარი და განადგურებული ქონება, ყოფილი სპორტის დეპარტამენტის შენობიდან მოპარული ტექნიკა, სრულად ამორტიზებული ქონება, რომლის ფაქტიური მდებარეობის ადგილი არის რუსეთის ფედერაცია, ქალაქი მოსკოვი.

სამინისტროს 2014 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით დადგინდა, რომ 2009 წელს მოწყობილი განმუხურის ბანაკის დამხმარე ნაგებობები და 18 ერთეული ხის კოტეჯი, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 925,299 ლარს, რეალურად არ არსებობდა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მასალები მოკვლევისათვის გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

- ანგარიშებზე N1430, N1460, N1480 რიცხულ დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის ფარგლებში, წერილები გაიგზავნა დებიტორებთან დავალიანებების დადასტურების მიზნით.

მიღებულმა შედეგებმა რიგ შემთხვევებში ვერ დაადასტურა ფინანსურ ანგარიშგებაში და ბუღალტრულ აღრიცხვაში დაფიქსირებული ნაშთები².

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „დებიტორული დავალიანების“ მუხლი სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 7 ნოემბრის N01/1366 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმის³ მიხედვით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების რეალური მდგომარეობის დადგენის და მათი ჩამოწერის პროცედურების განხორციელება, რისთვისაც სამინისტროს მიერ 2017 წლის 23 იანვარს ხელშეკრულება გაფორმდა სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტთან“. სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ რეკომენდაციით N1440- „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ და N1460- „მომუშავეების მიმართ მოთხოვნები“ საბალანსო ანგარიშებიდან უნდა ჩამოიწეროს 3,242,411 ლარის დავალიანება.

სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრს ანგარიშზე N1481- „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები“ უცვლელი ნაშთის სახით უფიქსირდება დებიტორული დავალიანება 7,899 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 2011 წელს 4 დებიტორის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნა შეადგენს 5,150 ლარს, თუმცა ცენტრს თანხების ამოღების მიზნით ქმედითი ღონისძიებები არ განუხორციელებია. დარჩენილ 2,749 ლარის დებიტორული დავალიანებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშვა 2015 წელს, ცენტრმა მიმართა სამინისტროს შემდგომი რეაგირებისთვის. სამინისტროს იურიდიული სამსახურის შეფასებით, დებიტორული დავალიანების ამოღება არ არის მოსალოდნელი.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღრზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში აღრიცხული აქვს 498,029 ლარი, საიდანაც სწავლების მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 422,507 ლარს. ორგანიზაციის მიერ აღნიშნული შემოსავლების აღრიცხვა ხორციელდება სწავლის საფასურის გადახდების მიხედვით, ანუ საკასო მეთოდით, მაშინ როდესაც N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის⁴ მიხედვით, მომსახურებიდან

² იმ დებიტორებმა, რომლებმაც დაადასტურეს ვალდებულება სამინისტროს მიმართ, 2016 წლის განმავლობაშიც არ დაუფარავთ შესაბამისი დავალიანება.

³ ოქმი N1, 30 დეკემბერი, 2016 წელი.

⁴ 51-ე მუხლი.

შემოსავლების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს დარიცხვის მეთოდით. შემოსავლების აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენების შედეგად უნივერსიტეტის ბალანსში (ფორმა N1) დებიტორული დავალიანების როგორც საწყის, ასევე საბოლოო ნაშთებში არ არის ასახული დავალიანებები, რომლებიც რეალურად არსებობს და წარმოშობილია სწავლის გადასახადის გადაუხდელობით, ნაწილობრივ გადახდით ან დარიცხვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნულ მუხლში წარმოქმნილი შესაძლო სხვაობებით.

3. კრედიტორული დავალიანება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს *აპარატის* კრედიტორული დავალიანების ნაშთმა შეადგინა 1,614,734 ლარი, საიდანაც 1,138,008 ლარის დავალიანება წარმოადგენს 1996-2004 წლებში ბიუჯეტის სეკვესტრთან დაკავშირებით დარიცხულ და აუნაზღაურებელ ფედერაციების დაფინანსების ხარჯებს, გაუცემელ შრომის ანაზღაურებას, სოციალურ დახმარებებს და სტიპენდიებს. 1996-2002 წლებში საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობისთვის სამინისტროსათვის სანქციის სახით დარიცხული საბიუჯეტო ვალდებულებების ნაშთი წლის ბოლოსთვის შეადგენდა 469,351 ლარს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 7 ნოემბრის N01/1366 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმის⁵ მიხედვით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კრედიტორული დავალიანებების რეალური მდგომარეობის დადგენის და მათი ჩამოწერის პროცედურების განხორციელება, რისთვისაც სამინისტროს მიერ 2017 წლის 23 იანვარს ხელშეკრულება გაფორმდა სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტთან“.

გამომდინარე იქედან, რომ მოცემული კრედიტორული დავალიანებებისთვის გასულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა, საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ გაიცა რეკომენდაცია ბალანსიდან ჩამოწერილ იქნეს ზემოთ ხსენებული კრედიტორული დავალიანებები.

სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსში „კრედიტორული დავალიანების“ მუხლი სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

⁵ ოქმი N1, 30 დეკემბერი, 2016 წელი.

სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრს მოკლევადიანი ვალდებულებების ანგარიშზე N3211 უცვლელი ნაშთის სახით უფიქსირდება კრედიტორული დავალიანება თანამშრომლების მიმართ 18,626 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოქმნილია 1996-2003 წლებში. აღნიშნულ დავალიანებასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი არ მიმდინარეობს. ცენტრის შეფასებით აღნიშნული დავალიანების დაფარვა არ არის მოსალოდნელი.

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღრზდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, სწავლებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მიზნით იყენებს დარიცხვის მეთოდს. საანგარიშო პერიოდში მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებსა და სწავლის საფასურის გადახდებს შორის სხვაობა ნაცვლად ვალდებულების-„სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ N3280 ანგარიშისა, წლის დასაწყისში 535 ლარის, ხოლო წლის ბოლოს 4,209 ლარის ოდენობით საკრედიტო ნაშთის სახით ბუღალტრულად აღრიცხულია ანგარიშზე N1410 - „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“, რაც არასწორია. შესაბამისად, ვალდებულებების მუხლი შემცირებულად არის წარმოდგენილი.

4. შპს „სპორტმშენსერვისის“ ფინანსური ინფორმაციის ასახვა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის N15/03/06 განკარგულების, აგრეთვე სამინისტროსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის 2013 წლის 25 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „სპორტმშენსერვისი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი, საწარმოს მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის V თავის შესაბამისად, „სპორტმშენსერვისი“ წარმოადგენს სამინისტროს მიერ კონტროლირებულ ერთეულს, ხოლო სახელმწიფო კომერციული საწარმოების შესახებ ინფორმაციის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში სავალდებულოა მაკონტროლებელი ერთეულის, სრულუფლებიანი მონაწილის და ინვესტორის მიერ დაბანდებული ინვესტიციების შესახებ მონაცემების წარსადგენად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მაკონტროლებელი ერთეულის ყველა კონტროლირებულ ერთეულს.

სამინისტროს 2016 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის კონსოლიდირებული შპს „სპორტმშენსერვისი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ სამინისტროსთვის მიცემული განმარტებით⁶ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მაკონტროლებელი და კონტროლირებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებს, ხოლო „სპორტმშენსერვისი“ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“⁷ თანახმად არ წარმოადგენდა საბიუჯეტო ორგანიზაციას და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წილი, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახულიყო როგორც ფინანსური აქტივი - „აქციები და სხვა კაპიტალი“.

სამინისტრომ შპს „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში შენატანები აღრიცხა „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნების“ მუხლში (ანგარიში N1500), რომელმაც 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 49,418,500 ლარი შეადგინა.

ვინაიდან „სპორტმშენსერვისი“ წარმოადგენს კონტროლირებულ ერთეულს და მისი ფინანსური ანგარიშგება არ არის კონსოლიდირებული, სამინისტროს უნდა ეხელმძღვანელა N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ: „სპორტმშენსერვისი“-ს კრებსითი ფინანსური ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით უნდა ასახულიყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, რაც არ განხორციელებულა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც წარმოდგენილია „სპორტმშენსერვისი“-ს ფინანსურ ანგარიშგებაში⁸, მათ შორის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს ბალანსზე რიცხული 32,311,543 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები და 12,104,180 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები.

5. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

სამინისტროს ნაერთ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშში (ფორმა N2) საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები ნაცვლად 574,554 ლარისა, შეცდომით წარმოდგენილია 257 ლარით, ხოლო შემოსავლები

⁶ 2017 წლის 29 მაისის N18/77519 წერილი

⁷ მუხლი 6. „ს“ ქვეპუნქტი.

⁸ შპს „სპორტმშენსერვისი“-ს ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება იხილეთ დანართში.

სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან ნაჩვენებია 574,554 ლარი, ნაცვლად 257 ლარისა.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამინისტროს 2016 წლის ასიგნებების დამტკიცებულმა გეგმამ 90,000,000 ლარი, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ 121,629,275 ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 31,679,280 ლარის გამოყოფით. ინფორმაცია 2016 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული დაფინანსების შესახებ მოყვანილია N4 ცხრილში.

ცხრილი N4

N	განკარგულება N	თარიღი	გამოყოფილი თანხის დანიშნულება	გამოყოფილი თანხა
1	N545	31/03/2016	ქართული ფეხბურთის განვითარების მიზნით	14,800,000
2	N1132	3/6/2016	იუნიორ ძალოსანთა შორის 2016 წლის მსოფლიო ჩემპიონატის და ჰაბუკთა შორის ჭიდაობაში 2016 წლის მსოფლიო პირველობის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად	1,000,000

3	1462	21/07/2016	სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ, არაოლიმპიურ და სპორტის ცალკეულ სათამაშო სახეობებში 2016 წლის მაისის ჩათვლით გამართულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის ფულადი პრიზებით დაჯილდოების მიზნით	3,849,650
4	2617	22/12/2016	სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, ცალკეულ სათამაშო სახეობებსა და პარაოლიმპიურ სპორტში საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის დაჯილდოების მიზნით	12,029,625

აღსანიშნავია, რომ იუნიორ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატისა და ჭაბუკთა შორის მსოფლიო პირველობის ჩატარების მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფაზე სამინისტრომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართა 2016 წლის 27 მაისს, მაშინ როდესაც საერთაშორისო ფედერაციების გადაწყვეტილება ჩემპიონატების საქართველოში ჩატარების შესახებ ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2015 წელს. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს მიერ წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილ იქნა აღნიშნული ღონისძიებებისათვის საჭირო რესურსი, მისი გათვალისწინება ბიუჯეტის კანონში არ მომხდარა.

შესყიდვები

2016 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია სამინისტროს აპარატის მიერ გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებული ხელშკრულების ხვედრითი წილი. 2016 წელს სამინისტროს აპარატის მიერ გაფორმებულია 1,868,219 ლარის ხელშეკრულება, საიდანაც გამარტივებული შესყიდვის ფორმითაა განხორციელებული 480,485 ლარის შესყიდვა, რაც მთლიანი ღირებულების 25.7%-ს შეადგენს, ხოლო 2015 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 55.9%-ს შეადგენდა.

შრომის ანაზღაურება

ა(ა)იპ „ფეხბურთის განვითარების ფონდზე“ (შემდგომში ფონდი) ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის⁹ და შესაბამისად საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნები.

2016 წლის განმავლობაში ფონდში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 3,000 ლარს, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობით ის არ უნდა აღემატებოდეს 1,500 ლარს.

2016 წელს ფონდის დირექტორის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 6,250 ლარს, მაშინ როდესაც ის არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს-2,950 ლარს.

სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე.

გრანტები

სამინისტროსა და ა(ა)იპ „საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ ქართუს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების¹⁰ შესაბამისად, სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისა და სპორტის სფეროში მოღვაწეთათვის (ასევე მათი ოჯახის წევრებისათვის) ყოველთვიურად თანხების გადაცემის მიზნით სამინისტროს დონორისაგან მიღებული აქვს 7,461,100 ლარის ოდენობის ფულადი გრანტი¹¹. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებული იყო საგრანტო თანხის ამოწურვიდან ერთი თვის ვადაში დონორისათვის წარედგინა საბოლოო წერილობითი ანგარიში გაწეული ხარჯების შესახებ, რაც შესრულებული არ არის. სამინისტროს განმარტებით დონორისთვის

⁹ ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ²“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის განსაზღვრული რეგულაციები, მათ შორის, შემდეგ ღონისძიებებთან დაკავშირებული დებულებები:

ა) სესხის აღება და თავდებობა;

ბ) ბიუჯეტის, სახელფასო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;

გ) საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა, ანგარიშგება და ბალანსის წარმოება.

¹⁰ 01.03.2016

¹¹ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის N331 განკარგულება „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების მოწონებისა და გრანტების გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

საბოლოო წერილობითი ანგარიშის წარდგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოხერხდა, სპორტული ფედერაციების მიერ 2017 წლის 1 იანვრის მდომარეობით ფინანსური ანგარიშების წარმოდგენილობის გამო.

დანამატები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 26 იანვრის N01/114 ბრძანების შესაბამისად, სამინისტროს თანამშრომელთა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით და სამინისტროში კვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნით, 2016 წლის განმავლობაში (2016 წლის 1 იანვრიდან) სამინისტროს 23 თანამშრომლისთვის დაწესდა ყოველთვიური დანამატი. სამინისტროში გაცემული დანატები თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს. ინფორმაცია ყოველთვიური დანამატების შესახებ მოყვანილია N5 ცხრილში.

ცხრილი N5

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო	დანამატი	%
1	მინისტრის პირველი მოადგილე	2,950	2,950	100.00
2	მინისტრის მოადგილე	2,720	2,720	100.00
3	მინისტრის მოადგილე	2,720	2,300	84.56
4	სამინისტროს აპარატის უფროსი	2,100	1,600	76.19
5	სამინისტროს აპარატის მთავარი სპეციალისტი	1,000	500	50.00
6	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი	1,500	1,000	66.67
7	საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი	2,100	1,100	52.38
8	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	2,100	1,700	80.95
9	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1,700	1,500	88.24
10	საორგანიზაციო უზრუნველყოფისა და რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი	1,500	1,000	66.67
11	ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვა- ანგარიშგების სამმართველოს უფროსი	1,500	1,500	100.00

12	სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი	1,500	1,100	73.33
13	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი	1,500	1,100	73.33
14	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	2,100	1,500	71.43
15	იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1,700	1,250	73.53
16	შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი	2,100	1,100	52.38
17	სპორტის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი	2,100	1,500	71.43
18	დაგეგმვისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი	1,500	1,100	73.33
19	სპორტის კვლევისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი	1,500	1,100	73.33
20	ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის უფროსი	2,100	1,500	71.43
21	ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1,700	900	52.94
22	ახალგაზრდული პროგრამების სამმართველოს უფროსი	1,500	800	53.33
23	ახალგაზრდობის საკითხთა კვლევისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი	1,500	800	53.33
	სულ:	42,690	31,620	74.07

შტატგარეშე მოსამსახურეები

სამინისტროს აპარატში შტატგარეშე მოსამსახურეების სახით 2016 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 25 პირი. შტატგარეშე მოსამსახურეებთან, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში შრომითი საქმიანობის განხორციელების თაობაზე, დადებული იყო ვადიანი ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადა უწყვეტად გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში. საშტატო განრიგით გათვალისწინებული 11 ერთეული ვაკანსიის პირობებში, შტატგარეშე მოსამსახურეები ფაქტიურად დასაქმებული იყვნენ მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

ავტომანქანები

„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად,

სამინისტროს ავტომანქანების ოპტიმიზაციის გეგმა (თან ახლდა თხოვნა გამოწვევების დაშვების თაობაზე) სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიაში წარდგენილი იყო 2014 წლის 31 მარტს¹², თუმცა სამინისტროს პასუხი არ მიუღია და გეგმა არ განახლებულა.

2016 წელს სამინისტროს *აპარატის* ბალანსზე ირიცხებოდა 18 ავტომობილი, რომელთაგან 7 ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება განსაზღვრულია როგორც „სამორიგეო“, ხოლო 11 ავტომობილის - „განპიროვნებული“.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ბალანსზე ირიცხებოდა 3 ავტომობილი, სამივე განპიროვნებული. სამშენებლო-სარემონტო განყოფილების უფროსსა და სამეურნეო განყოფილების მთავარ სპეციალისტს განპიროვნებული ავტომანქანა თანამდებობრივად არ ეკუთვნით.

სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი-2 განპიროვნებული ავტომანქანა. ცენტრის დირექტორის მოადგილეს განპიროვნებული ავტომანქანა თანამდებობრივად არ ეკუთვნის.

სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი - 3 განპიროვნებული ავტომანქანა. ცენტრის დირექტორის პირველ მოადგილეს და ცენტრის დირექტორის მოადგილეს განპიროვნებული ავტომანქანა თანამდებობრივად არ ეკუთვნით.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი - 7 ავტომანქანა, მათ შორის 1 განპიროვნებული და 6 სამორიგეო. ცენტრის თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნების გათვალისწინებით სამორიგეო ავტომანქანების ოდენობა უნდა ყოფილიყო მხოლოდ ორი.

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სამორიგეო ავტომობილი გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე, რაც არ ხორციელდებოდა.

კომერციული ბანკიდან აღებული სესხი

„საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2010 წწ.) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილების შესაბამისად, 2016-2020 წლებში განსახორციელებელი

¹² წერილი N07/1031

ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა განისაზღვრა 265,700,000 ლარის ოდენობით, მათ შორის 2016 წლის პროგრამის განხორციელებისათვის 40,250,000 ლარი.

აღნიშნული თანხის შევსება 2016 წლის განმავლობაში უნდა მომხდარიყო შედეგნაირად: მუნიციპალიტეტებს (აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციას) ეთხოვათ, მათ ბიუჯეტში ფეხბურთის მხარდაჭერისთვის გათვალისწინებული თანხიდან 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით დარჩენილი რესურსი მიემართათ ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის¹³ გადასარიცხად და, ამასთან, 2016 წლის განმავლობაში მათ მიერ ფეხბურთის მხარდაჭერისთვის გაწეული ხარჯი და ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის გადარიცხული თანხა ჯამურად არ უნდა ყოფილიყო 2015 წელს მათ მიერ ფეხბურთის მხარდაჭერის მიზნით გაწეულ თანხაზე ნაკლები. მუნიციპალიტეტების მიერ გაწეულმა ხარჯმა 17,299,313 ლარი შეადგინა (2016 წლის 1 მარტამდე გუნდებისათვის გადარიცხული იყო 5,947,740.62 ლარი და ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხა-11,351,579 ლარი), რაც 2015 წლის შესაბამის ხარჯზე 5,296,887 ლარით ნაკლებია.

სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისთვის ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდმა ბიუჯეტიდან დამატებით მოითხოვა 23,450 000 ლარი¹⁴, თუმცა მთავრობის დადგენილების საფუძველზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული იქნა მხოლოდ 14,800,000 ლარი, ანუ 8,650,000 ლარით ნაკლები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თანხმობა განუცხადა ფეხბურთის განვითარების ფონდს პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით¹⁵, კომერციული ბანკიდან 2,000,000 ლარის ოდენობის სესხის აღების თაობაზე იმ პირობით, რომ მისი დაფარვა განხორციელდებოდა 2017 წელს ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან და 2017 წელს სესხის დაფარვის შემდგომ, დარჩენილი ასიგნება საკმარისი იქნებოდა წლის ბოლომდე ფეხბურთის განვითარების ღონისძიებების განსახორციელებლად.

¹³ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N2862 განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფუძნების შესახებ“.

¹⁴ ფონდის დაფუძნების თარიღიდან გამომდინარე ფონდისათვის გამოსაყოფი თანხები ვერ იქნებოდა გათვალისწინებული 2016 წლის ბიუჯეტში.

¹⁵ საფეხბურთო კლუბების საბაზისო დაფინანსება-890,000 ლარი, საპრიზო და პრემიალური ფონდი-750,000 ლარი, ფინანსური სტიმულირება-600,000 ლარი.

სესხი სრულად იქნა დაფარული¹⁶ 2017 წლის იანვრის დასაწყისში.

მივლინება

სსიპ „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებების ფარგლებში ადგილი ჰქონდა სამივლინებო თანხების ზედმეტად ანაზღაურების ფაქტებს, კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მიწვევების თანახმად ღონისძიების ორგანიზატორი მხარე უზრუნველყოფდა როგორც კვების, ასევე სასტუმროს ხარჯების დაფარვას, მივლინებულ თანამშრომელზე თანხები გაიცა სასტუმროს დაქირავების მიზნით, ხოლო სადღეღამისო ხარჯები ანაზღაურდა სრულად, ნაცვლად კანონმდებლობით გათვალისწინებული 30%-ისა.

აუდიტის მიმდინარეობისას ანგარიშვალდებული პირის¹⁷ მიერ დაბრუნებული იქნა 2016 წელს ზედმეტად ანაზღაურებული თანხა 4,023 ლარის ოდენობით.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზება

ორგანიზაციებმა ბუღალტრული აღრიცხვა უნდა აწარმოონ N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის და ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, რაც არ არის გათვალისწინებული ზოგიერთი ორგანიზაციის მიერ ცალკეული ოპერაციების და ეკონომიკური მოვლენების ბუღალტრული აღრიცხვისას, ასე მაგალითად:

სსიპ „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ მიერ გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ნაცვლად ინსტრუქციით განსაზღვრული 2200 ანგარიშისა, აღრიცხულია 2133 ანგარიშზე, ძირითადი კაპიტალის მოხმარება ნაცვლად 7300 ანგარიშისა აღრიცხულია 7455 ანგარიშზე.

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღრზდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ცვეთა და ამორტიზაცია¹⁸ ნაცვლად 7300 ანგარიშისა, აღრიცხულია 7455 ანგარიშზე. გაუნაწილებელი მოგება ნაცვლად 5220 ანგარიშისა, აღრიცხულია 5310 ანგარიშზე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზემოთ ხსენებული ხარვეზებისა, ფინანსურ ანგარიშგებაში ოპერაციები და მოვლენები შესაბამის მუხლებში იყო ასახული.

¹⁶ საპროცენტო ხარჯი-5,470 ლარი, სესხის დამტკიცების საკომისიო-4,000 ლარი.

¹⁷ სსიპ „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ დირექტორი.

¹⁸ ეკონომიკური საქმიანობის ნაწილში

უფროსი აუდიტორი



მერაბ ზაიცევი

აუდიტორი



ვახტანგ პერტია

აუდიტორ-ასისტენტი



ნიკოლოზ ლულათავა

აუდიტორ-ასისტენტი



სპარტაკ გიგიბერია